6.3.	საშუალო სამედიცინო კადრების რიცხოვნობა ცალკეული სპეციალობების მიხედვით <i>Number of paramedical personnel by basic speciality</i>	84
6.4.	რეგისტრირებული აბორტები <i>Registered abortions</i>	84
6.5.	მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით <i>Morbidity with acute and chronic diseases by main disease group</i>	85
6.6.	ბავშვთა (0-14 წლის ასაკის) ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით <i>Morbidity of children (0-14 years old) with acute and chronic diseases by main disease group</i>	86
6.7.	მოსახლეობის ავადობა ინფექციური დაავადებებით <i>Morbidity caused by some infectious disease</i>	88
6.8.	მოსახლეობის ავადობა სქესობრივი გზით გადადები დაავადებებით <i>Morbidity of patients with sexually transmitted diseases</i>	88
6.9.	მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით <i>Morbidity of patients with tuberculosis</i>	89
6.10.	აივ-ით ინფიცირების და შიდსით დაავადების შემთხვევათა გავრცელება <i>Morbidity of patients with HIV/AIDS</i>	89
6.11.	მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით <i>Ambulance services</i>	90
6.12.	პენსიონერთა რიცხოვნობა <i>Number of pensioners</i>	90

ექიმების რაოდენობა – მოიცავს ყველა ექიმს უმაღლესი სამედიცინო განათლებით, დასაქმებულს სამედიცინო დაწესებულებებში წლის ბოლოსათვის.

საშუალო სამედიცინო პერსონალი – მოიცავს საშუალო სამედიცინო განათლების ყველა მუშაკს, რომლებიც დასაქმებულნი არიან სამედიცინო დაწესებულებებში.

საწოლთა ფონდი – მიეკუთვნება წლის ბოლოსათვის არსებული ყველა საწოლი, რომელიც მომზადებულია ავადმყოფის მისაღებად.

ავადობის დონე – განისაზღვრება პირველად დადგენილი დიაგნოზით ავადმყოფთა რაოდენობის შეფარდებით მუდმივი მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები – მიეკუთვნება ყველა სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პაციენტების ამბულატორიულ მიღებას.

სოციალური უზრუნველყოფა – მოცემულია პენსიის მიძღები პენსიონერების რიცხოვნობა.

6.1. ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები

(წლის ბოლოსათვის)

MAIN INDICATORS OF PUBLIC HEALTH

(end of year)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
ექიმების რიცხოვნობა: <i>Number of physicians of all specialties:</i>						
სულ, ათასი <i>total, thsd.</i>	20.3	20.6	20.0	20.3	20.6 ¹⁾	21.2 ¹⁾
მოსახლეობის 10 000 კაცზე <i>per 10 000 population</i>	46.6	46.7	45.5	46.3	46.4	47.4
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა: <i>Number of paramedical personnel:</i>						
სულ, ათასი <i>total, thsd.</i>	21.1	20.2	19.3	19.6	18.6	19.3
მოსახლეობის 10 000 კაცზე <i>per 10 000 population</i>	48.3	45.9	44.0	44.7	41.9	43.2
საავადმყოფოების რიცხვი <i>Number of hospitals</i>	242	244	245	244	241	259
საავადმყოფო საწოლების რიცხვი, ათასი <i>Number of hospital beds, thsd.</i>	17.1	16.5	14.6	14.1	13.6	13.4
ერთი ავადმყოფის საავადმყოფოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა, დღე <i>Average length of stay in hospitals, days</i>	7.7	7.4	7.3	6.8	6.3	6.4
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რიცხვი <i>Number of medical institutions rendering out-patient services to population</i>	1123	1124	1140	1090	1604 ¹⁾	1691 ¹⁾
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა სიმძლავრე (ერთ ცვლაში ავადმყოფთა მიღების რიცხვი), ათასი <i>Capacity of medical institutions rendering out-patient services to population (number of patients' visits per shift), thsd.</i>	92.1	88.0	84.8	87.4	87.4 ¹⁾	87.5 ¹⁾
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რიცხვი წლის განმავლობაში (მათ შორის პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი <i>Number of visits in medical institutions rendering out-patient services to population (including prophylactics), thsd.</i>	7738.7	8081.7	6961.8	7530.1	7073.7 ¹⁾	7623.3 ¹⁾

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების ჩათვლით. / Incl. rural doctor-entrepreneurs.

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.2. ექიმების რიცხოვნობა ცალკეული სპეციალობების მიხედვით

NUMBER OF PHYSICIANS BY BASIC SPECIALITIES

	სულ Total				მოსახლეობის 10 000 კაცზე Per 10 000 population			
	2007	2008	2009	2010	2007	2008	2009	2010
ექიმები – სულ Physicians, total	19951	20253	20609	21162	45.5	46.2	46.5	47.4
მათ შორის: of which:								
თერაპევტები therapists	1875	1885	1403	1263	4.3	4.3	3.2	2.8
ქირურგები surgeons	906	972	1034	1082	2.1	2.2	2.3	2.4
ანესთეზიოლოგ- რეანიმატოლოგები anaesthesiologists-reanimatologists	895	850	942	941	2.0	1.9	2.1	2.1
ტრავმატოლოგ-ორთოპედები traumatologists-orthopedists	263	276	301	299	0.6	0.6	0.7	0.7
კარდიოლოგები cardiologists	603	623	705	702	1.4	1.4	1.6	1.6
უროლოგები urologists	223	231	235	239	0.5	0.5	0.5	0.5
ონკოლოგები oncologists	249	255	181	217	0.6	0.6	0.4	0.5
პედიატრები paediatricians	1978	1907	1653	1594	4.5	4.3	3.7	3.6
ინფექციონისტები infectionists	255	258	237	242	0.6	0.6	0.5	0.5
ოტოლარინგოლოგები otolaryngologists	307	326	327	359	0.7	0.7	0.7	0.8
ნევროპათოლოგები neuropathologists	593	634	610	615	1.4	1.4	1.4	1.4
ოფთალმოლოგები ophthalmologists	354	350	364	405	0.8	0.8	0.8	0.9
სტომატოლოგები stomatologists	1033	974	909	1004	2.4	2.2	2.0	2.2
მეან-გინეკოლოგები obstetrician-gynecologists	1370	1417	1444	1505	3.1	3.2	3.3	3.4
ფთიზიატრები phthisiatricians	143	145	153	154	0.3	0.3	0.3	0.3
დერმატო-ვენეროლოგები dermatovenereologists	214	240	206	245	0.5	0.5	0.5	0.5
ფსიქიატრები psyciatrics	221	215	239	235	0.5	0.5	0.5	0.5
ენდოკრინოლოგები endocrinologists	299	307	319	344	0.7	0.7	0.7	0.8
ოჯახის ექიმები general practitioners	233	459	1386 ¹⁾	1537 ¹⁾	0.5	1.0	3.1	3.4
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექიმი-სპეციალისტები physicians-specialists of public healthcare	299	301	378	455	0.7	0.7	0.9	1.0
სხვა სპეციალისტები other specialists	7473	7405	7377	7493	17.1	16.9	16.6	16.8

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების ჩათვლით. / Incl. rural doctor-entrepreneurs.

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.3. საშუალო სამედიცინო კადრების რიცხოვნობა ცალკეული სპეციალობების მიხედვით

NUMBER OF PARAMEDICAL PERSONNEL BY BASIC SPECIALITIES

	სულ Total				მოსახლეობის 10 000 კაცზე Per 10 000 population			
	2007	2008	2009	2010	2007	2008	2009	2010
საშუალო სამედიცინო პერსონალი – სულ Paramedical personnel, total	19315	19593	18627	19321	44.0	44.5	41.9	43.3
მათ შორის: of which:								
ფერმლები doctor's assistants	1194	1719	1325	1570	2.7	3.9	2.9	3.6
მეანები obstetricians	854	919	732	736	1.9	2.1	1.6	1.6
მედღები medical nurses	13583	13207	12933	13314	31.0	30.1	29.1	29.8
ფერშალ-ლაბორანტები doctor's assistants-laboratory assistants	1494	1541	1382	1408	3.4	3.4	3.2	3.1
რენტგენო-ლაბორანტები X-ray-laboratory assistants	426	467	409	421	1.0	1.1	0.9	0.9
სხვა others	1764	1740	1846	1872	4.0	3.9	4.1	4.3

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.4. რეგისტრირებული აბორტები

REGISTERED ABORTIONS

	2005	2006	2007	2008	2009	2010	
რეგისტრირებული აბორტები, ათასი	19.7	21.2	20.6	22.1	24.3	25.6	Registered abortions, thsd.
მათ შორის მინი-აბორტი, ათასი	6.7	7.5	7.6	7.7	8.4	10.6	of which mini-abortions, thsd.
აბორტების რიცხვი ქალების ასაკის მიხედვით							Number of abortions by the age of women
15 წლამდე	5	2	8	6	21	14	<15
15-19 წლის	1057	1380	1037	1359	1689	1770	15-19
20-44 წლის	18512	19716	19483	20481	22419	23664	20-44
45 და მეტი წლის	107	106	116	216	182	137	45 and older

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.5. მოსახლეობის აკადრობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით

MORBIDITY WITH ACUTE AND CHRONIC DISEASES BY MAIN DISEASE GROUPS

	2005	2006	2007	2008	2009 ¹⁾	2010 ¹⁾
პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა, ათასი შემთხვევა <i>Number of registered cases diagnosed for the first time, thsd. cases</i>	695.2	761.0	767.8	807.5	1169.5	1170.1
მათ შორის: <i>of which:</i>						
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება <i>certain infectious an parasitic diseases</i>	54.0	44.9	50.8	47.1	63.5	71.6
ახალწარმონაქმნები <i>neoplasms</i>	8.4	9.2	7.5	7.9	13.0	11.7
სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეული დარღვევები <i>diseases of the blood and blood-forming organs and certain disorders involving the immune mechanism</i>	8.5	9.4	10.3	11.7	17.7	17.4
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები <i>endocrine, nutritional and metabolic diseases</i>	31.5	27.7	27.3	30.6	40.1	43.5
ფსიქიური და ქცევითი აშლილობები <i>mental and behavioral disorders</i>	7.0	6.8	5.6	9.7	5.1	4.0
ნერვული სისტემის დაავადებები <i>diseases of the nervous system</i>	54.9 ²⁾	31.9	26.0	29.0	45.5	47.7
თვალისა და მისი დანამატების დაავადებები <i>diseases of the eye and adnexa</i>	...	30.1	24.6	35.1	47.8	49.5
ყურისა და ღვრილისებრი მორჩის დაავადებები <i>diseases of the ear and mastoid process</i>	...	16.0	15.4	19.9	28.3	27.9
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები <i>diseases of the circulatory system</i>	82.5	83.2	71.2	74.4	96.0	98.2
სუნთქვის ორგანოების დაავადებები <i>diseases of the respiratory system</i>	249.1	313.8	288.8	299.8	447.5	439.3
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები <i>diseases of the digestive system</i>	84.9	56.6	120.7	92.4	166.0	151.8
კანისა და კანქვეშა უჯრედის დაავადებები <i>diseases of the skin and subcutaneous tissue</i>	23.3	27.0	27.0	29.1	40.2	38.3
ძვალკუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები <i>diseases of the musculoskeletal system and connective tissue</i>	13.2	17.8	17.1	26.1	32.2	30.9
შარდსაქესო სისტემის დაავადებები <i>diseases of the genitourinary system</i>	31.6	40.4	33.8	48.3	64.7	72.0
გართულებული ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი <i>pregnancy, childbirth and the puerperium</i>	8.2	9.5	7.2	8.5	9.5	7.2
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები <i>certain conditions originating in the perinatal period</i>	2.5	2.0	1.9	2.1	1.9	2.2

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების მიერ რეგისტრირებული შემთხვევების ჩათვლით. / Incl. cases registered by rural doctors-entrepreneurs.

²⁾ ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დაავადებები. / Diseases of the nervous system and sense organs.

6.5. მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით (გაბრძანება)

MORBIDITY WITH ACUTE AND CHRONIC DISEASES BY MAIN DISEASE GROUPS (CONTINUED)

	2005	2006	2007	2008	2009 ¹⁾	2010 ¹⁾
თანდაყოლილი ანომალიები <i>congenital malformations, deformations and chromosomal abnormalities</i>	1.1	1.3	1.3	1.7	1.9	2.4
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები <i>symptoms, signs and abnormal clinical and laboratory findings, not elsewhere classified</i>	2.5	4.0	2.9	4.9	6.6	7.1
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი <i>injury, poisoning and certain other consequences of external causes</i>	32.0	29.7	28.7	29.2	42.1	47.3

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების მიერ რეგისტრირებული შემთხვევების ჩათვლით. 2009 წლიდან მონაცემების ზრდა აიხსნება: რეგისტრაციის გაუმჯობესებით; ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაზრდით; სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებით. / *Incl. Cases registered by rural doctors-entrepreneurs. The increase of data from 2009 was caused by: improving of the registration; growth of accessibility of the health services and growth of encounters; expanding of the health insurance system.*

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / **Source:** Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.6. ბავშვთა (0-14 წლის ასაკის) ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით

MORBIDITY OF CHILDREN (0-14 YEARS OLD) WITH ACUTE AND CHRONIC DISEASES BY MAIN DISEASE GROUP

	2005	2006	2007	2008	2009 ¹⁾	2010 ¹⁾
პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა, ათასი შემთხვევა <i>Number of registered cases diagnosed for the first time, thsd. cases</i>	258.3	276.2	273.0	276.9	394.1	387.1
მათ შორის <i>of which:</i>						
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება <i>certain infectious an parasitic diseases</i>	31.3	22.2	25.1	25.1	34.6	39.3
ასალწარმონაკმნები <i>neoplasms</i>	0.2	0.1	0.1	0.1	0.2	0.1
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეული დარღვევები <i>diseases of the blood and blood-forming organs and certain disorders involving the immune mechanism</i>	5.0	4.4	4.9	5.7	10.3	10.1
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები <i>endocrine, nutritional and metabolic diseases</i>	7.9	6.4	5.6	5.3	8.0	6.4
ფსიქიური და ქცევითი აშლილობები <i>mental and behavioral disorders</i>	1.6	1.3	1.4	1.5	1.3	0.4

6.6. ბავშვთა (0-14 წლის ასაკის) ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით (გაგრძელება)

MORBIDITY OF CHILDREN (0-14 YEARS OLD) WITH ACUTE AND CHRONIC DISEASES BY MAIN DISEASE GROUP (CONTINUED)

	2005	2006	2007	2008	2009 ¹⁾	2010 ¹⁾
ნერვული სისტემის დაავადებები <i>diseases of the nervous system</i>	18.5 ²⁾	8.1	6.6	6.3	13.1	11.4
თვალისა და მისი დანამატების დაავადებები <i>diseases of the eye and adnexa</i>	...	7.4	7.5	8.6	10.4	9.7
ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები <i>diseases of the ear and mastoid process</i>	...	5.9	6.6	6.9	11.6	10.6
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები <i>diseases of the circulatory system</i>	1.6	1.7	1.2	1.3	1.4	1.1
სუნთქვის ორგანოების დაავადებები <i>diseases of the respiratory system</i>	151.5	182.8	169.8	169.8	246.6	244.4
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები <i>diseases of the digestive system</i>	12.6	9.6	17.9	16.9	19.0	17.3
კანისა და კანქვეშა უჯრედის დაავადებები <i>diseases of the skin and subcutaneous tissue</i>	10.7	9.7	10.7	10.5	14.7	14.0
ძვალკუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები <i>diseases of the musculoskeletal system and connective tissue</i>	1.1	0.7	1.7	2.2	2.4	1.9
შარდსასქესო სისტემის დაავადებები <i>diseases of the genitourinary system</i>	4.9	4.1	3.6	3.9	6.2	5.6
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები <i>certain conditions originating in the perinatal period</i>	2.5	2.0	1.9	2.1	1.9	2.2
თანდაყოლილი ანომალიები <i>congenital malformations, deformations and chromosomal abnormalities</i>	0.9	1.1	1.1	1.3	1.4	1.9
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები <i>symptoms, signs and abnormal clinical and laboratory findings, not elsewhere classified</i>	1.2	2.0	1.3	2.4	3.8	3.4
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი <i>injury, poisoning and certain other consequences of external causes</i>	6.8	6.8	6.3	7.0	7.2	7.3

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების მიერ რეგისტრირებული შემთხვევების ჩათვლით. 2009 წლიდან მონაცემების ზრდა აიხსნება: რეგისტრაციის გაუმჯობესებით; ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაზრდით; სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებით. / Incl. cases registered by rural doctors-entrepreneurs. The increase of data from 2009 was caused by: improving of the registration; growth of accessibility of the health services and growth of encounters; expanding of the health insurance system.

²⁾ ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დაავადებები. / Diseases of the nervous system and sense organs.

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / **Source:** Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.7. მოსახლეობის ავადობა ინფექციური დაავადებებით

MORBIDITY CAUSED BY SOME INFECTIOUS DISEASE

	2008		2009		2010 ¹⁾	
	სულ <i>Total</i>	მ.შ. ბავშვები of which children	სულ <i>Total</i>	მ.შ. ბავშვები of which children	სულ <i>Total</i>	მ.შ. ბავშვები of which children
მწვავე ნაწლავური ინფექციები <i>Acute intestinal infections</i>	13890	8425	12927	7808	23585	14994
სალმონელური ინფექციები <i>Salmonella infections</i>	160	97	166	66	77	38
დიფთერია <i>Diphtheria</i>	7	2	3	-	-	-
ყვიანახველა <i>Pertussis</i>	129	109	138	117	49	46
ტეტანუსი <i>Tetanus</i>	4	1	3	1	7	-
წითელა <i>Measles</i>	56	47	23	17	22	14
წითურა <i>Rubella</i>	188	172	67	63	59	56
ვირუსული ჰეპატიტი <i>Virus hepatitis</i>	1252	521	583	181	268	42
გრიპი და მწვავე რესპირატორული ინფექციები <i>Influenza and acute respiratory infections</i>	224280	151032	309604	200733	282602	191152

¹⁾ სოფლის ექიმი-მეწარმეების მიერ რეგისტრირებული შემთხვევების ჩათვლით. 2009 წლიდან მონაცემების ზრდა აიხსნება: რეგისტრაციის გაუმჯობესებით; ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაზრდით; სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებით. / *Incl. Cases registered by rural doctors-entrepreneurs. The increase of data from 2009 was caused by: improving of the registration; growth of accessibility of the health services and growth of encounters; expanding of the health insurance system.*

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.*

6.8. მოსახლეობის ავადობა სქესობრივი გზით გადაედი დაავადებებით

MORBIDITY OF PATIENTS WITH SEXUALLY TRANSMITTED DISEASES

	2005	2006	2007	2008	2009	2010	
გამოვლენილია ავადმყოფი პირველად დადგენილი დიაგნოზით, ერთეული							<i>Number of new patients with the diagnosis set for the first time</i>
ათაშანგით	509	485	381	346	503	599	<i>syphilis</i>
გონორეით	1202	1235	720	684	670	741	<i>gonorrhoea</i>

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.*

6.9. მოსახლეობის ავადობა ტუბერკულოზით

MORBIDITY OF PATIENTS WITH TUBERCULOSIS

	2005	2006	2007	2008	2009	2010	
რეგისტრირებულ ავადმყოფთა რაოდენობა წლის ბოლოსათვის – სულ, ერთეული	6321	6001	6450	5504	6108	5806	Total number of registered patients by end of the year
მათ შორის ახალი შემთხვევები	4057	3979	4170	3774	4418	4392	of which new cases

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.



6.10. აივ-ით ინფიცირების და შიდსით დაავადების შემთხვევათა გავრცელება

MORBIDITY OF PATIENTS WITH HIV/AIDS

	2005	2006	2007	2008	2009	2010	
რეგისტრირებულია წლის ბოლოსთვის – სულ	874	1152	1497	1835	2170	2609	Total number of registered patients by end of the year
აქედან ახალი შემთხვევები,	239	278	345	338	335	439	of which new cases
გარდაცვლილთა რიცხვი წლის ბოლოსთვის	161	204	261	300	366	456	Number of deaths by end of the year

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.

6.11. მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით

AMBULANCE SERVICES

წელი <i>Years</i>	პირველადი სამედიცინო დახმარება გაეწია – სულ <i>Number of first aid rendered, total</i>	მათ შორის: <i>of which caused by:</i>		
		უბედური შემთხვევების დროს <i>accidents</i>	უცაბელი ავად გახდომის დროს <i>sudden diseases</i>	მშობიარობისა და პათოლოგიური ფენ- მიბობის დროს <i>childbirths and complicated pregnancy</i>
2001	132977	7618	124233	1126
2002	157365	8421	147701	1243
2003	184859	10166	172589	2104
2004	214076	19560	191379	3137
2005	437023	38594	393183	5246
2006	649987	44068	599335	6584
2007	664161	15930	644912	3319
2008	768167	10912	751945	5310
2009	883129	14579	863589	4961
2010	1074277	13286	1055719	5272

მონაცემების ზრდა აიხსნება: სასწრაფო დახმარების სისტემის გაუმჯობესებით, ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაზრდით, სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებით. / *The increase of data was caused by: improving the emergency medical care system; growth of accessibility of the health services and growth of encounters; expansion of the health insurance system.*

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.*

6.12. სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა

(წლის ბოლოსათვის; ათასი კაცი)

NUMBER OF STATE PENSION RECIPIENTS

(end of year; thsd.)

	2007	2008	2009	2010	
პენსიონერი – სულ	836.9	842.2	838.5	835.9	<i>All pensioners</i>
მათ შორის:					<i>of which:</i>
ასაკით	611.9	658.3	660	662.3	<i>old age pensioners</i>
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	160.6	137.8	139.9	138.6	<i>disability pensioners</i>
მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	55.9	41.9	35.5	32.1	<i>survivor's pensioners</i>
პოლიტრეპრესირებული	8.5	4.2	3.1	2.5	<i>victims of political repressions</i>
სხვა პენსიონერი	-	-	-	0.3	<i>other pensioners</i>

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia.*

სამართალდარღვევები
CRIME AND JUSTICE

7

7.1.	რეგისტრირებული დანაშაულები <i>Number of recorded crimes</i>	94
7.2.	მსჯავრდადებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით <i>Number of convicts by types of crime</i>	95
7.3.	მსჯავრდადებულთა რაოდენობა და სასჯელის ღონისძიებები <i>Number of convicts and penalties prescribed by court</i>	96
7.4.	მსჯავრდადებულთა შემადგენლობა <i>Composition of convicts</i>	96
7.5.	არასრულწლოვანი მსჯავრდადებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით <i>Juvenile offenders convicted, by type of offence</i>	97
7.6.	პატიმართა რიცხოვნობა <i>Prison population</i>	98
7.7.	ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე სქესისა და ასაკის მიხედვით <i>Family violence victims and offenders by sex and age</i>	98
7.8.	დაზარალებულები სქესის, ასაკის და მოქალაქეობის მიხედვით <i>Victims by sex, age and citizenship</i>	99
7.9.	რეგისტრირებული ხანძრები <i>Registered fires</i>	99

რეგისტრირებული დანაშაული – გამოვლენილი და აღრიცხვაზე აყვანილი საზოგადოებისთვის საშიში ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მიმე დანაშაული – განზრახ ქმედება, რომელიც წარმოადგენს მომეტებულ საზოგადოებრივ საფრთხეს.

არასრულწლოვანი დამნაშავეები – პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 14-დან 18 წლამდე ასაკში.

განზრახ მკვლელობა – მკვლელობის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ამ მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და სურდა ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას.

გაუფრთხილებელი მკვლელობა – მკვლელობის ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი ამ მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა იგი.

ძარცვა – სხვისი ქონების აშკარა გატაცება.

ქურდობა – სხვისი ქონების ფარული გატაცება.

ყჩაღობა – თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

დანაშაული ნარკომანიის სფეროში ითვალისწინებს განზრახ ქმედებებს, დაკავშირებულს ნარკოტიკული საშუალებების მოყვანასთან, დამზადებასთან, შექმნასთან, შენახვასთან, გადაზიდვასთან, გადაზენასთან, ხმარებასთან.

მსჯავრდადებულთა რაოდენობა მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომელთა მიმართ სასამართლოების მიერ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღება უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება ოჯახის სხვა წევრისაგან.

7.1. რეგისტრირებული დანაშაულები

NUMBER OF RECORDED CRIMES

	2005	2006	2007	2008	2009	2010
რეგისტრირებული დანაშაული – სულ <i>Total crimes recorded</i>	43266	62283	54746	44644	35949	34739
მათ შორის: <i>of which:</i>						
მძიმე დანაშაული <i>heavy crimes</i>	24320	29249	13158	13028	11093	9987
განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა <i>premeditated homicide and attempted murder</i>	697	640	741	653	494	418
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება <i>premeditated heavy injury</i>	368	271	157	200	134	126
გაუპატიურება <i>rape</i>	141	167	156	100	84	82
ძარცვა <i>larceny</i>	2087	2751	1615	1167	958	638
ყაჩაღობა <i>robbery</i>	1925	2160	1208	1008	700	398
ქურდობა <i>theft</i>	16256	27657	18586	14814	11473	11371
ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა <i>illegal turnover of drugs</i>	2074	3542	8493	8699	6336	5465
ხულიგნობა <i>hooliganism</i>	1314	1208	858	724	524	435
მობილობის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა სატრანს- პორტო საშუალებების მძღოლთა მიერ, რომ- ლებმაც გამოიწვია დაზარალებულთა სიკვდილი <i>traffic offences committed by drivers which caused lethal injuries</i>	445	499	511	551	453	420
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული <i>Juvenile crimes</i>	755	997	674	759	595	543

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. / Source: Ministry of Internal Affairs of Georgia.

7.2. მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეობის მიხედვით

(კაცი)

NUMBER OF CONVICTS BY TYPE OF CRIME

(persons)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ მსჯავრდებულია <i>Total number of convicts</i>	9168	16911	21170	20804	18354	19940
მათ შორის დანაშაულის მიხედვით: <i>of which by type of crime:</i>						
განზრას მკვლელობა <i>premeditated homicide</i>	146	243	297	321	254	286
ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება <i>premeditated heavy injury</i>	110	170	124	173	116	159
გაუპატიურება <i>rape</i>	25	74	65	81	40	45
ძარცვა <i>larceny</i>	393	743	648	634	468	397
ყაჩაღობა <i>robbery</i>	371	1098	823	593	467	362
ქურდობა <i>theft</i>	2264	3817	3913	4111	3351	3808
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება <i>Illegal production, manufacturing, acquisition, storage, transportation and sale of drugs</i>	1165	2461	1919	2095	2193	2374
ხულიგნობა <i>hooliganism</i>	443	922	958	941	722	666
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა <i>violation of rules of traffic safety and secure use of transport</i>	342	618	1095	878	878	10636

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. / *Source: Supreme Court of Georgia.*

7.3. მსჯავრდებულთა რაოდენობა და სასჯელის ღონისძიებები

NUMBER OF CONVICTS AND PENALTIES PRESCRIBED BY COURT

	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ მსჯავრდებულია <i>Total number of convicts</i>	9168	16911	21170	20804	18354	19940
მათ შორის მიესაჯათ: <i>of which:</i>						
თავისუფლების აღკვეთა <i>imprisonment</i>	3525	7930	9788	8846	8384	9135
გამასწორებელი სამუშაოები <i>corrective labour</i>	182	66	7	3	0	0
პირობითი მსჯავრი <i>suspended conviction</i>	3755	7002	9585	10601	8599	9484
ჯარიმა <i>fine</i>	1658	1820	828	1010	1324	1296
გადავლილ განაჩენის აღსრულება <i>suspended sentence</i>	2	3	7	7	4	4
სხვა <i>other penalties</i>	46	90	955	337	43	21

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. / *Source: Supreme Court of Georgia.*

7.4. მსჯავრდებულთა შემადგენლობა

(კაცი)

COMPOSITION OF CONVICTS

(persons)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ მსჯავრდებულია <i>Total number of convicts</i>	9168	16911	21170	20804	18354	19940
მათ შორის ასაკში, წელი: <i>of which at the age of, years:</i>						
14-17	475	1002	1060	1166	803	883
18-24	2416	4561	5055	4638	4027	4184
25-29	1621	3007	3758	3817	3301	3210
30-49	3718	6737	9259	9483	8565	9442
50 და მეტის <i>50 and over</i>	938	1604	2038	1700	1658	2221
მსჯავრდებულთა საერთო რიცხოვნობიდან ქალები <i>Out of the total number of convicts females</i>	586	998	1375	1126	1083	1426

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. / *Source: Supreme Court of Georgia.*

7.5. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით

(კაცი)

JUVENILE OFFENDERS CONVICTED, BY TYPE OF OFFENCE
(persons)

	2009			2010		
	მსჯავრდა- დებულთა – სულ <i>Number of convicts, total</i>	მათ შო- რის გოგონები <i>of which girls</i>	აღკვეთა თავისუფ- ლება <i>Imprisoned</i>	მსჯავრდა- დებულთა – სულ <i>Number of convicts, total</i>	მათ შორის გოგონები <i>of which girls</i>	აღკვეთა თავისუფ- ლება <i>Imprisoned</i>
არასრულწლოვანი მსჯავრდადებულები – სულ <i>Total number of juvenile offenders</i>	803	36	272	883	30	296
მათ შორის: <i>of which:</i>						
განზრახ მკვლელობა <i>premeditated homicide</i>	28	0	28	40	2	38
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება <i>premeditated heavy injury</i>	11	1	4	10	0	7
გაუპატიურება <i>rape</i>	1	0	1	3	0	3
ქურდობა <i>theft of personal property</i>	368	12	104	403	15	113
ხულიგნობა <i>hooliganism</i>	49	3	10	37	0	10
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება <i>Illegal production, manufacturing, acquisition, storage, transportation and sale of drugs</i>	23	2	7	24	1	10
სხვა დანაშაული <i>other crime</i>	323	18	118	366	12	115

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. / *Source: Supreme Court of Georgia.*

7.6. პატიმართა რიცხოვნობა

(კაცი)

PRISON POPULATION

(persons)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
პატიმართა რიცხოვნობა – სულ <i>Total number of prisoners</i>	9688	15465	18309	18659	21239	23684
მათ შორის ქალები <i>of which females</i>	283	660	799	771	967	1174
სრულწლოვანი პატიმრების რიცხოვნობა- <i>Number of adult prisoners</i>	9573	15141	17960	18379	20983	23478
მათ შორის ქალები <i>of which females</i>	283	660	788	770	962	1171
არასრულწლოვანი პატიმრების რიცხოვნობა <i>Number of juvenile prisoners</i>	115	324	349	280	256	206
მათ შორის ქალები <i>of which females</i>	-	-	11	1	5	3

წყარო: 2005-2007 წწ. – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2008 წლიდან – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო. | **Source:** 2005-2007 – Ministry of Justice of Georgia, from 2008 – Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia.

7.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე სქესისა და ასაკის მიხედვით

(კაცი)

FAMILY VIOLENCE VICTIMS AND PERPETRATOR BY SEX AND AGE

(persons)

	2009		2010		
	მოძალადე <i>Perpetrator</i>	მსხვერპლი <i>Victim</i>	მოძალადე <i>Perpetrator</i>	მსხვერპლი <i>Victim</i>	
სულ	176	176	182	182	<i>Total</i>
მათ შორის:					<i>of which :</i>
სქესის მიხედვით					<i>by sex</i>
მამაკაცი	164	13	169	16	<i>males</i>
ქალი	12	163	13	166	<i>females</i>
ასაკის მიხედვით					<i>by age</i>
16 წლამდე	-	3	-	3	<i>under 16</i>
16-24 წლის	9	22	11	12	<i>16 to 24</i>
25-44 წლის	110	109	113	102	<i>25 to 44</i>
44 წელზე უფროსი	57	42	58	65	<i>over 44</i>

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. | **Source:** Ministry of Internal Affairs of Georgia.

7.8. დაზარალებულები სქესის, ასაკის და მოქალაქეობის მიხედვით

(კაცი)

VICTIMS BY SEX, AGE AND CITIZENSHIP

(persons)

	2007	2008	2009	2010	
დაზარალებულები – სულ	12203	9307	9624	9843	<i>Victims – total</i>
მათ შორის:					<i>of which:</i>
ფირმა, ორგანიზაცია	20	8	32	52	<i>firm, organisation</i>
პირი	12183	9299	9592	9791	<i>person</i>
აქედან:					<i>of which:</i>
მამაკაცი	7194	5583	5792	5910	<i>males</i>
ქალი	4989	3716	3800	3881	<i>females</i>
დაზარალებულები ასაკის მიხედვით:					<i>Victims by age:</i>
17 წლამდე	191	218	223	140	<i>under 17</i>
17-24 წლის	1271	998	1150	1187	<i>17 to 24</i>
25-44 წლის	4845	3828	3996	4061	<i>25 to 44</i>
44 წელზე უფროსი	5668	4112	4155	4344	<i>over 44</i>
დაუდგენელი ასაკის	208	143	68	59	<i>age not stated</i>
დაზარალებულები მოქალაქეობის მიხედვით:					<i>Victims by citizenship:</i>
საქართველოს მოქალაქე	12016	9141	9377	9482	<i>georgian</i>
უცხოელი	139	148	206	308	<i>foreigner</i>
მოქალაქეობის არმქონე	26	10	9	1	<i>without citizenship</i>
დაუდგენელი მოქალაქეობის	2	-	-	-	<i>citizenship not stated</i>

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. | Source: Ministry of Internal Affairs of Georgia.

7.9. რეგისტრირებული ხანძრები

REGISTERED FIRES

	2005	2006	2007	2008	2009	2010
წლის განმავლობაში მომხდარი ხანძრების რიცხვი – სულ	4818	7882	6488	8027	5796	8837 ¹⁾
<i>Total number of fires during the year</i>						
ტრავმირებულთა რიცხვი, კაცი	67	98	54	83	83	60
<i>Persons injured</i>						
დაღუპულთა რიცხვი, კაცი	39	54	66	60	58	40
<i>Persons killed</i>						

¹⁾ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წ. 25 დეკემბრის № 1574 ბრძანების "საქართველოში ხანძრებისა და მათი შედეგების სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვის წესისა და დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, 2010 წ. მონაცემები მოიცავს ხანძრებისა და წაკიდების შემთხვევებს. | 2010 data include the number of fires and arsons in accordance with the Decree No 1574 of the Minister of Internal Affairs dated December 25, 2009.

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. | Source: Ministry of Internal Affairs of Georgia.

**ბუნებრივი რესურსები
და გარემოს დაცვა**
*NATURAL RESOURCES AND
ENVIRONMENT PROTECTION*

8.1.	ტყის აღდგენა <i>Reforestation</i>	104
8.2.	ტყის ხანძრები <i>Forest fires</i>	104
8.3.	სუფთა წყლის გამოყენება <i>Fresh water consumption</i>	105
8.4.	ჩამდინარე წყლის ჩაშვება ბუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტებში <i>Waste water discharge into surface water bodies</i>	106
8.5.	მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ჰაერში <i>Emission of pollution into air</i>	106
8.6.	სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები <i>Air polluting emissions from stationary sources by ingredients</i>	107
8.7.	სახელმწიფო ნაკრძალები და ეროვნული პარკები <i>Natural reserves and National parks</i>	107

ტყის აღდგენა – ტყის აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. მოიცავს ტყის დარგვა-დათესვას და ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობას.

ტყის ჭრა – ნარგავებიდან ხეების და ბუჩქების ნაწილის პერიოდული გაკაფვა.

წყლის ბუნებრივი წყაროებიდან წყლის აღება – წყალსაცავებიდან და მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან წყლის შემდგომი გამოყენების მიზნით წყლის რესურსების აღების მოცულობა.

წყლის მოხმარება (წყლის გამოყენება) – სამეურნეო საჭიროებისათვის ყველა სახის წყლის გამოყენება.

დაბინძურებული ჩამდინარე წყალი – სამრეწველო და საყოფაცხოვრებო (კომუნალური) ჩამდინარე წყლები (შახტური, წიაღისეული, დრენაჟული წყლების ჩათვლით).

ნორმატიულად გაწმენდილი ჩამდინარე წყლები – სამრეწველო და კომუნალური ყველა სახის ჩამდინარე წყალი, რომელმაც გაიარა გაწმენდა შესაბამის დანადგარებში.

სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები – მთელი რაოდენობა ყველა სახის გამაჰუჰყიანებელი ნივთიერებებისა, რომლებიც ატმოსფეროში ხვდებიან როგორც მტვერდამჭერი და გაზამწმენდი მოწყობილობებიდან (არასრული წმენდის), ისე ორგანიზებული და არაორგანიზებული გამაჰუჰყიანებელი წყაროებიდან (გაწმენდის გარეშე).

8.1. ტყის აღდგენა

(ათასი ჰექტარი)

REFORESTATION

(thsd. hectares)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
აღდგენითი საშუალები სახელმწიფო დანიშნულების ტყეებში, ათასი ჰექტარი <i>Reforestation in the state forests, thsd. hectares</i>	0.2	0.1	0.03	-	-	0.01	0.17
მათ შორის ტყის თესვა და დარგვა <i>of which planting and sowing</i>	0.1	0.0	0.03	-	-	0.01	0.11
ტყის ჭრა: <i>Fellings:</i>							
ფართობი, ათასი ჰექტარი <i>area, thsd. hectares</i>	45.0	57.0	54.8
ტყის ჭრით მიღებული მერქნის მოცულობა, ათასი მკვრივი მ ³ <i>Timber felled, thsd. m³ of trunk wood</i>	617.5	810.6	558.2	805.4	818.2	697.5	798.9

წყარო: 2004-2006 წწ. – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 2007-2010 წწ. – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. / **Source:** 2004-2006 – National Statistics Office of Georgia; 2007-2010 – Ministry of Energy and Natural Resources of Georgia.

8.2. ტყის ხანძრები

FOREST FIRES

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ტყის ხანძრების რაოდენობა, ერთეული <i>Number of forest fires, cases</i>	21	16	95	6	32	15	6
ხანძრით მოცული ტყის ფართობი, ჰექტარი <i>Forest area affected by fires, hectares</i>	32	26	766	3.4	126	718	370
ხანძრის შედეგად სატყეო მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი, ათასი ლარი <i>Damage caused by forest fires, thsd. GEL</i>	39.5	1.1	23.7	...	170.4

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. / **Source:** Ministry of Energy and Natural Resources of Georgia.

8.3. სუფთა წყლის გამოყენება

(მლნ. მ³)

FRESH WATER CONSUMPTION

(mln. m³)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
წყლის აღება წყლის ბუნებრივი ობიექტებიდან <i>Water abstraction from natural sources</i>	1156	1568	1088	1381	1550	1854	5079
მათ შორის მიწისქვეშა ობიექტებიდან <i>of which from groundwater resources</i>	520	549	435	422	431	447	3120
გამოყენებული წყალი – სულ <i>Total water consumption</i>	775	994	965	1231	912	580	3931
მათ შორის საჭიროებისათვის: <i>of which for:</i>							
საყოფაცხოვრებო-სამეურნეო <i>household and drinking purposes</i>	368	358	371	391	399	412	3129
საწარმოო <i>industrial purposes</i>	193	208	359	260	333	57	71
სარწყავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება <i>Irrigation and agricultural water supply</i>	178	106	161	110	72	70	66
სხვა <i>Other</i>	36	322	74	471	108	41	666

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Environment Protection of Georgia.*

8.4. ჩამდინარე წყლის ჩაშვება გუნებრივი ზედაპირული წყლის ობიექტებში

(მლნ. მ³)

WASTE WATER DISCHARGE INTO SURFACE WATER BODIES

(mln. m³)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში – სულ <i>Waste water discharge</i>	322	299	564	752	404	536	175
მათ შორის: <i>of which:</i>							
დაბინძურებული <i>Polluted</i>	309	194	335	358	358	372	97
ნორმატიულად სუფთა (გაწმენდის გარეშე) <i>Pure (corresponding to standards; without treatment)</i>	6	96	222	379	32	9	37
ნორმატიულად გაწმენდილი <i>Purified according to standards</i>	7	9	7	15	14	155	41

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Environment Protection of Georgia.*

8.5. მავნე ნივთიერებების ბაზრქვევა ჰაერში

(ათასი ტონა წელიწადში)

EMISSION OF POLLUTANTS INTO AIR

(thsd. tons per year)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა – სულ <i>Emission of pollutants to air – total</i>	219.7	270.3	283.7	322.5	336.2	370.0	373.0
მათ შორის: <i>of which:</i>							
სტაციონარული წყაროებიდან <i>From stationary sources</i>	20.6	24.1	27.6	27.5	25.5	21.1	30.1
ავტოტრანსპორტის მიერ ¹⁾ <i>By motor transport¹⁾</i>	199.1	246.2	256.1	295.0	310.7	349.0	342.7
სტაციონარული წყაროებიდან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების გაუვნებელყოფა <i>Capture (detoxification) of pollutants from stationary sources</i>	106.0	33.2	57.1	75.7	88.5	350.4	630.7
დაჭერილი (გაუვნებელყოფილი) ნივთიერებების წილი სულ გამოყოფილ მავნე ნივთიერებებში <i>Capture pollutants in per cent to total emission</i>	83.7	57.9	67.5	73.5	77.6	94.3	95.4

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. / *Source: Ministry of Environment Protection of Georgia.*

8.6. სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები

(ათასი ტონა)

AIR POLLUTING EMISSIONS FROM STATIONARY SOURCES BY INGREDIENTS
(thsd. tons)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	
გაფრქვეულია მავნე ნივთიერებები – სულ	20.6	24.1	27.6	27.3	25.5	21.1	30.1	Emission of pollutants to air – total
მათ შორის:								of which:
მყარი	6.3	4.9	7.2	7.0	5.6	3.2	3.7	Solid
აირადი და თხევადი	14.3	19.2	20.4	20.3	19.9	17.9	26.5	Gaseous and liquid
აქედან:								of which:
გოგირდოვანი ანჰიდრიდი	1.0	0.9	1.2	1.2	0.9	1.1	1.8	Sulphure dioxide
ნახშირჟანგი	8.6	9.5	11.1	11.3	9.6	8.5	13.7	Carbon monoxide
აზოტის ჟანგბულები (NO ₂ -ზე გადაანგარიშებით)	1.3	2.1	3.3	2.5	3.6	2.5	3.0	Nitrogen oxides (in terms of NO ₂)
ნახშირწყალბადი	2.9	6.6	4.2	4.7	4.5	5.5	7.5	Hydrocarbon
დანარჩენი	0.4	0.1	0.5	0.5	1.3	0.3	0.5	Other

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Environment Protection of Georgia.

8.7. სახელმწიფო ნაკრძალები და ეროვნული პარკები

NATURAL RESERVES AND NATIONAL PARKS

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სახელმწიფო ნაკრძალები, ერთეული Nature reserves, units	16	16	17	14	14	14	14
ნაკრძალების ფართობი, ათასი ჰექტარი Area of natural reserves, thsd. hectares	168.7	168.7	171.7	130.0	141.5	141.5	141.5
ეროვნული პარკები, ერთეული National parks, units	2	2	4	8	8	8	8
ეროვნული პარკების ფართობი, ათასი ჰექტარი Area of national parks, thsd. hectares	102.3	102.3	211.1	255.0	258.4	256.5	256.5

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. / Source: Ministry of Environment Protection of Georgia.

ეროვნული ანგარიშები
NATIONAL ACCOUNTS

9

9.1.	მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ღინამიკა <i>Volume and changes in gross domestic product</i>	116
9.2.	საქონლისა და მომსახურების ანგარიში <i>Goods and services account</i>	116
9.3.	წარმოების ანგარიში <i>Production account</i>	117
9.4.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2005 წელს <i>Production account by economic activity in 2005</i>	118
9.5.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2006 წელს <i>Production account by economic activity in 2006</i>	119
9.6.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2007 წელს <i>Production account by economic activity in 2007</i>	120
9.7.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2008 წელს <i>Production account by economic activity in 2008</i>	121
9.8.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2009 წელს <i>Production account by economic activity in 2009</i>	122
9.9.	წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2010 წელს <i>Production account by economic activity in 2010</i>	123
9.10.	მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მიხედვით <i>Use of gross domestic product</i>	124
9.11.	დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა <i>Structure of use of gross domestic product</i>	125
9.12.	შემოსავლების ფორმირების ანგარიში <i>Generation of income account</i>	126
9.13.	ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები <i>National income and its main aggregates</i>	127

ეროვნული ანგარიშების სისტემა (ეას) ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მისი განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად თანამიმდევრულ, საერთაშორისო ღონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების სისტემას წარმოადგენს. იგი მოიცავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის (მ.შ. საზღვარგარეთთან) ეკონომიკური ოპერაციების მაჩვენებლების ამ ანგარიშებსა და ცხრილებში აღრიცხვას.

ეას-ში აღრიცხება დროის სტანდარტულ მონაკვეთებში – კვარტალში, წელიწადში ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე და წინა პერიოდებთან შედარებით განვითარების ტენდენციების მახასიათებელი მაჩვენებლები.

ამრიგად, **ეას** ასახავს ეროვნული ეკონომიკის უმთავრეს ოპერაციებს ეკონომიკის სექტორებს შორის, დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური ოპერაციების გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლებისა და მათი გამოყენების განხორციელების შედეგებს.

ყველა ეს ეკონომიკური ოპერაცია წარმოდგენილია შესაბამისი ნაკადებისა და საბალანსო მდგომარეობის დამახასიათებელი ცხრილებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის სახით.

ეას მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების ეფექტიანობის მონიტორინგისათვის.

ეროვნული ანგარიშების სისტემას საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკის მთლიანობაში წარმოდგენის პრინციპი, რომელიც ამავე დროს დანარჩენ მსოფლიოს მრავალფეროვანი საერთაშორისო ოპერაციებით უკავშირდება.

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკომისიის სტატისტიკური სამსახურის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის (SNA-93) სტანდარტული მეთოდოლოგია.

შეფასებების პრინციპები

ეას-ში ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებული საქონლისა და მომსახურების მიმდინარე **საბაზრო ფასებში**.

ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება **დარიცხვის მეთოდით**, ეკონომიკური ოპერაცია ფიქსირდება იმ მომენტისათვის, როდესაც ამ ოპერაციების მონაწილე სუბიექტთა შორის ორივე მხარის შეთანხმებით წარმოიქმნა აქტივის მიწოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის ურთიერთვალდებულებები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამ მომენტში ეს ვალდებულებები პრაქტიკულად განხორციელებული.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა საქართველოში ჯერჯერობით წარმოებს მხოლოდ წარმოების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით.

ძირითადი ანგარიშები

საქონლისა და მომსახურების ანგარიშის რესურსების ნაწილში აისახება საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვება, საქონლისა და მომსახურების იმპორტი და წმინდა გადასახადები (გადასახადებს მინუს სუბსიდიები), ხოლო გამოყენების ნაწილში – შუალედური მოხმარება, საბოლოო მოხმარების ხარჯები, ძირითადი კაპიტალის ფორმირება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილებები და ექსპორტი. ფორმალურად, ეს ანგარიში წარმოდგენილია იმგვარად, რომ

მისი რესურსებისა და გამოყენების მხარეები ერთმანეთის ტოლია.

წარმოების ანგარიში ასახავს უშუალოდ წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

ეას-93-ის აუცილებელი მოთხოვნაა გაანგარიშებებში ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცვა. მათ შორის სრული მოცულობით გაითვალისწინება სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე. წ. „დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობა“.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ანგარიშები მოიცავენ **არაფორმალური** (საკუთარი მონმარების ან გასაყიდად შინამეურნეობების კუთვნილი არაკორპორირებული წარმოების), **ფარული** (გადასახადების გადახდის თავის არიდების მიზნით) და **არაკანონიერი** წარმოების შეფასებებს.

მთლიანი გამოშვება არის დროის გარკვეული პერიოდის (უფრო ხშირად ერთი წლის ან კვარტალის) განმავლობაში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასებში.

საქონლის წარმოება მოიცავს საქმიანობის ისეთ სახეებს, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მშენებლობა, ხოლო **მომსახურება** – ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, ვაჭრობას, განათლებას, ჯანდაცვას, საფინანსო საქმიანობას და სხვ.

შუალედური მონმარება შედგება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებისაგან, რომელიც მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში. შუალედური მონმარების შემადგენლობაში არ აღირიცხება ძირითადი კაპიტალის მონმარება.

მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს სხვაობას წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მონმარებას შორის.

ტერმინი „მთლიანი“ ნიშნავს, რომ მაჩვენებელი მოიცავს წარმოების პროცესში მონაწილე ძირითადი კაპიტალის მონმარებას (ფიზიკურ და მორალურ ცვეთას).

გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (პროდუქციაზე გადასახადები) – სავალდებულო დაუბრუნებელი გადასახდელები, რომელიც დარიცხულია სახელმწიფოს მიერ საწარმოო ერთეულების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ან იმპორტის მოცულობის პროპორციულად, პროდუქციაზე გადასახადებს მიეკუთვნებიან: დამატებული ღირებულების, აქციზური, იმპორტზე და საბაჟო გადასახადები.

სხვა გადასახადები წარმოებაზე დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენებასთან. მათში აგრეთვე შედის გადასახდელები ლიცენზიებისათვის.

უსუსიდეები წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე – სახელმწიფოს მიერ გაცემული მიმდინარე, უსასყიდლო, დაუბრუნებელი გადახდები, რომლებიც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით ეძლევათ საწარმოო ერთეულებს იმ დანაკარგებისათვის, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასი წარმოების საშუალო დანახარჯებზე დაბალია.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. მისი გაანგარიშება წარმოებს სამი მეთოდით:

- **წარმოების მეთოდით** მშპ (საბაზო ფასებში) იზომება რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილი მთლიანი დამატებული

ღირებულებების შეჯამებით. საბაზო ფასებში შეფასებულ მშპ-ზე პროდუქტებზე წმინდა გადასახადების დამატებით მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

- მშპ განისაზღვრება აგრეთვე როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში მონაწილე რეზიდენტი ერთეულების პირველადი **შემოსავლების** ჯამი: შრომის ანაზღაურების, პროდუქციასა და იმპორტზე წმინდა გადასახადების, მთლიანი მოგებისა და მთლიანი შერეული შემოსავლების შეჯამებით.
- **საბოლოო მოხმარების ხარჯების** მეთოდით გაანგარიშებული მშპ წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ხარჯების, მთლიანი დაგროვებისა და წმინდა ექსპორტის (ექსპორტს მინუს იმპორტი) ჯამს.

სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგანაც მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია. განსხვავება იწერება სტრიქონში „სტატისტიკური განსხვავება“.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხდება **ორმაგი დეფლირებით**. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) არის რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და დანარჩენი მსოფლიოდან დარიცხული პირველადი (ხელფასი, მოგება, შერეული შემოსავლები) და საკუთრებიდან (დივიდენდები, რენტა) წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) შემოსავლების ჯამი. რაოდენობრივი თვალსაზრისით მეშ მშპ-სგან განსხვავდება საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით.

საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული **პირველადი შემოსავლები** ყალიბდება რეზიდენტი ერთეულების მიერ მშპ-ის წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულებების პირველადი განაწილების პროცესში. მასში შედის: შრომის ანაზღაურება, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, მთლიანი მოგება, მთლიანი შერეული შემოსავლები და **შემოსავლები საკუთრებიდან**. შემოსავლები საკუთრებიდან – ინსტიტუციური ერთეულების მიერ ფინანსური და არაფინანსური მატერიალური აქტივების გამოსაყენებლად გადაცემის შედეგად დარიცხული შემოსავლები. მათ მიეკუთვნება საპროცენტო შემოსავლები, დივიდენდები, რენტა და ასეთივე სახის სხვა შემოსავლები საკუთრებიდან.

ეროვნული მთლიანი განკარგავალი შემოსავალი არის **მთლიანი ეროვნული შემოსავლისა** და ქვეყნის რეზიდენტების მიერ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული მიმდინარე წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) ტრანსფერტების ჯამი. ეს არის შემოსავლები, რომელთაც განკარგავენ რეზიდენტები საბოლოო მოხმარებისათვის და დანაზოგებისათვის.

მიმდინარე ტრანსფერტები – მიმდინარე ოპერაციები, რომელთა დროსაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გადასცემს საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს რაიმე სანაცვლო ეკვივალენტის მიღების გარეშე. ასეთი ოპერაციები წარმოებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით.

კაპიტალური ტრანსფერტები – ოპერაციები, რომელთა დროსაც ინსტიტუციური ერთეული მეორე ერთეულს უსასყიდლოდ გადასცემს აქტივებს ფულადი ან ნატურალური სახით (როგორც წესი, საინვესტიციო მიზნით). კაპიტალური ტრანსფერტები ჩვეულებრივ ერთდროულია და მნიშვნელოვანი სიდიდისაა. მათშივე შედის კაპიტალზე გადასახადები, საინვესტიციო სუბსიდიები, სხვა კაპიტალური ტრანსფერტები (მემკვიდრეობის მიღება, ზარალის პატიება და სხვ.).

მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები – მთლიანი დამატებული ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩება მწარმოებლებს (კორპორაციებს) შრომის ანაზღაურებისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. მთლიანი შერეული შემოსავლები – შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული არაკორპორაციული საწარმოებისთვის, სადაც შინამეურნეობებს შეუძლიათ აწარმოონ გადაუხდელი შრომითი დანახარჯები. იგი მოიცავს როგორც შინამეურნეობათა შრომით ანაზღაურებას, ისე ამ საწარმოთა მოგებას.

წმინდა მოგება და წმინდა შერეული შემოსავლები უტოლდება მთლიან მოგებას და მთლიან შერეულ მოგებას ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით.

დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე – შინამეურნეობების დანახარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციულ ორგანიზაციათა (შმაკო) დანახარჯები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები ინდივიდუალური მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მოსახლეობისათვის გაწეული უფასო მომსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სფეროში.

